ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო

GEORGIA
Direqtorate for Environment and
Natural Resources of
Ajara Autonomous Republic

6010, ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ.№124
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/501
17/07/2018

501-08-2-201807171540

**საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ბატონ კახაბერ კუჭავას**

ასლი: სასწავლო და დასაქმების საერთაშორისო
ახალგაზრდული ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს
ბატონ გოჩა გოგუაძეს

**ბატონო კახაბერ,**

თქვენი 2018 წლის 13 ივლისის №7259/4-5 კორესპონდენციის პასუხად, რომლითაც გადმოიგზავნა სასწავლო და დასაქმების საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაციის წერილი (26.06.2018წ.) გაცნობებთ, რომ შპს - „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს საქმიანობა არსებული კანონმდებლობით გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობაა და 2009 წელს ჩატარებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე მიღებული აქვს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (№00222, 08. 06. 2009 წ). აღნიშნულ სანებართვო დოკუმენტში წარმოდგენილია ნავსადგურში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები და განსაზღვრულია ფუნქციონირების პირობები.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროებს ნავსადგურში წარმოადგენს თხევადი და ნაყარი ტვირთების გადმოტვირთვა-ჩატვირთვის და გადამუშავების სამუშაოები. ამ მონაცემების საფუძველზე საწარმოს შესაბამის სამსახურებში დამტკიცებული აქვს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმები გაფრქვევის წყაროებისა და მავნე ნივთიერებათა სახეობების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტების თანახმად საწარმოს აქვს ვალდებულება შემოტანილი ტვირთების ჩატვირთვა-გადატვირთვა და შენახვა განახორციელოს საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ინსტრუქციების გათვალისწინებით და სანებართვო პირობების სრული დაცვით. ასევე, გაატაროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ პერიოდულად ხორციელდება შპს - „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს სანებართვო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წლის მაისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლინდა შპს - „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების, ასევე გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტები, რის შესახებ შედგენილი ოქმი გადაგზავნილია სასამართლოში.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი